ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №636001

ნომერი: AR1117553

თარიღი : 19.03.2013

გაცემის თარიღი : 11.04.2013

გაცნობის თარიღი : 11.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წიკლაური პ/ნ 01006004246
- თბილისი დიღმის მას. I კვ. კორ. 1ა ბ. 2

ორგანიზაცია:

- შპს"გაზ–კომფორტი" კოდი: 205056990

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.02.2013 წლის #519238 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03.19.2013წ #არ1117553 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი წიკლაურმა და მოითხოვა სამსახურის 08.02.2013 წლის #519238 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ: ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ,,სასაწყობე ფართობი - 16,2 კვ.მ''-ის ნაცლად ”საწარმოო ფართობი - 29,15 კვ.მ''- ის მითითება.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტეტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 08.02.2013 წლის #519238 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ (ნაკვ#016/063), შ.პ.ს ,,კომფორტი”_50''–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ავტოგასამართი სადგურის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებთან მიმართებაში, გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ნახაზებზე დატანილი სასაწყობე ფართი შეყვანილია დამხმარე ფართში, ხოლო საწარმოო ფართი ნამდვილად შეადგენს 29.15 კვ.მ.-ს., რომელიც დაფიქსირებული არ იქნა დამკვეთის მიერ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არქიტექტურული პროექტის შეთანხმების დროს. ამასთან, საწარმოო ფართისა და სხვა დანიშნულების ფართების ციფრობირივ მაჩვენებლების ჯამი შეადგენს ბრძანებაში დაფიქსირებულ საერთო ფართობს - 179.48 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების და დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და, ვინაიდან დამკვეთის მიერ არასწორად იქნა წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება 08.02.2013 წლის #519238 ბრძანებაში.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექურის სამსახურის 08.02.2013 წლის #519238 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ”სასაწყობე ფართობი – 16,2 კვ.მ'' - ის ნაცვლად მიეთითოს ”საწარმოო ფართობი – 29,15 კვ.მ.''
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.02.2013 წლის #519238 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.